Kutaisi City Municipality
Digitally signed by Kutaisi City Municipality
DN: cn=Kutaisi City Municipality, 2.5.4.97=NTRGE-212721170, o=[illegible], c=GE
Date: 2023.03.07 16:18:44 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 120

ქ.ქუთაისი 7 მარტი 2023 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“) ქალაქის მუნიციპალიტეტის მერის იოსებ ხახალეიშვილის სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3; წერილი №01-442306692, 07.03.2023 წ).

მეორეს მხრივ, შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“, წარმოდგენილი მისი მინდობილი პირის მიხეილ კიკნაძის (პ/ნ 35301130461; მინდობილობა გაცემული 2022 წლის 12 დეკემბერს) სახით (იურ. მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორია , სხვა მის: ქ. ქუთაისი, ჟიული შარტავას ქ. #2; ტელ: 591195027; ელ. ფოსტა: Customerservicekut@mafcarrefour.com) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 22 (ოცდაორი) ცალი სასაჩუქრე ბარათების სახელმწიფო შესყიდვა.

1.2 კლასიფიკატორის კოდი –18500000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ერთი სასაჩუქრე ბარათის ღირებულება-100(ასი) ლარი, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2200 (ორი ათას ორასი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

3.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. მომსახურების გაწევის ვადები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდება განახორციელოს 2023 წლის 7 მარტს.

4.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს 2023 წლის 7 მარტს.

5.2 „შემსყიდველი"–ს მიერ შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

5.3 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე

6.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად მიწოდებული საქონლის დასახელება და ღირებულება;

ბ) საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი;

გ) მიწოდებული საქონლის შესაბამისად ამოწერილი დღგ-ს ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.4 ანგარიშსწორება განხორციელდება მისაწოდებელი საქონლის სრულად მიწოდების შემდეგ, სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს გონივრულ ვადაში მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

– საქონლის მიწოდების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია

9.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

9.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

– მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

9.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 დაუძლეველი ძალის გარდა ,,მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ს ოდენობით.

10.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ს.

10.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.4 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.

10.5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ,,მიმწოდებლი"–ს დაჯარიმების შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

10.6 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ.
11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ.
12.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ადგილობრივი ,,მომწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.
15.2 საქართველოს კანონის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ თანახმად ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება წერილობითი ფორმის მატერიალური დოკუმენტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3

მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ქ. თბილისი „სახელმწიფო ხაზინა“
ბ/კოდი: TRESGE22
ს/კოდი: 212721170
ა/ა 300 180 000

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერი

იოსებ ხახალეიშვილი

მიმწოდებელი:
შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია
მის: თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორია
ს.ს „საქართველოს ბანკი“
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა GE88BG0000000850935800
ს/კ 404923749

შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია
მინდობილი პირი

მიხეილ კიკნაძე

Majid Al Futtaim Hypermarkets Georgia LLC

Digitally signed by Majid Al Futtaim Hypermarkets Georgia LLC
DN: cn=Majid Al Futtaim Hypermarkets Georgia LLC, 2.5.4.97=NTRGE-404923749, o=……, c=GE
Date: 2023.03.07 16:42:34 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ქუთაისი 7 მარტი 2023 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შპს ,,მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“-სგან საქონლის შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერეთა კონფლიქტს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი — ი.ხახალეიშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეული საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი — დ. ნიშნიანიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეული ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეული მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი — გ. ვაშაყმაძე

ماجد الفطيم
MAJID AL FUTTAIM

POA N°01 – 12/2022

თარიღი: 12 დეკემბერი, 2022 წ.
ქ. თბილისი

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს "მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია"(ს/კ.: 404923749)(შემდეგში: კომპანია) წინამდებარე მინდობილობით, ანიჭებს კომპანიის ფინანსურ კონტროლიორს - **მიხეილ კიკნაძეს** (პ/ნ.: 35301130461) უფლებამოსილებას, რათა იყოს შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას" წარმომადგენელი და ხელი მოაწეროს კომპანიის სახელით, ერთჯერად, შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებს.

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 6(ექვსი) თვის ვადით.

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას" სახელით

ჟერომ აკელი - გენერალური მენეჯერი

Majid Al Futtaim Hypermarkets Georgia LLC
Tbilisi 0131, Georgia
Territory of Dighomi Educational
And Experimental Farm
Registration No: 404923749

შპს მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია
თბილისი 0131, საქართველო
დიღმის სასწავლო საცდელი
მეურნეობის ტერიტორია
სარეგისტრაციო ნომერი: 404923749